GÜRTİAD

ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია
GÜRCÜ VE TÜRK İŞADAMLARI DERNEĞİ

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

2020 / 17 – 24 Ocak / იანვარი

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 723.5	4 722.0	4.8 %	12.7 %	7.0 %

Gürcistan'ın Dış Ticareti – 2019 Yılı

2019 წელს საქონლით საგარეო ვაჭრობა საქართველოში

2019 yılında Gürcistan'ın dış ticaret cirosu 12 834.7 milyon ABD doları teşkil etmiştir. Bu rakam bir önceki yılın verilerine kıyasla % 2.7 ile daha fazla. İhracat 3 771.5 milyon ABD dolar (artış oranı %12.4), ithalat ise - 9 063.2 milyon ABD doları (düşüş oranı %0.8) olmuştur. 2019 yılın negatif ticaret bilançosu 5 291.8 milyon dolara ulaşarak dış ticaret cirosunun % 41.2 teşkil etmiştir. Aynı zamanda, reeksport haricinde olan ihracat %5.7 oranla artıp 2 352.3 milyon dolara ulaşmıştır.

2019 წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 12 834.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 2.7 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 3 771.5 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (12.4 %-ით მეტი), ხოლო იმპორტი 9 063.2 მლნ. აშშ დოლარს (0.8 %-ით ნაკლები). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2019 წელს, 5 291.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 41.2 %-ია. ექსპორტი რეექსპორტის გარეშე, წინა წელთან შედარებით 5.7 %-ით გაიზარდა და 2 352.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

2019 yılında Gürcistan'ın toplam dış ticaret cirosunda en büyük on ticaret ortağının payı %66,9 olarak teşkil etmiştir. En büyük ticaret ortakları şunlardır: Türkiye 14.1% (1 816.1 mln $), Rusya 11.5% (1 473.0 mln $), Çin 8.5% (1 086.3 mln $), Azerbaycan 8.2% (1 057.8 mln $), Ermenistan 5.3 % (679 704.3 mln $), Ukrayna 5.1 % (659 536.6 mln $), ABD 4.1 % (521 882.3 mln $), Almanya 3.9 % (497 387.4 mln $), Bulgaristan 3.2 % (408 226.6 mln $), Romanya 3 % (390 165.3 mln $).

2019 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 66.9 % შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი 14.1% (1 816.1 მლნ. $), რუსეთი 11.5 %(1 473.0 მლნ. $), ჩინეთი 8.5 % (1 086.3 მლნ. $), აზერბაიჯანი 8.2 % (1 057.8 მლნ. $), სომხეთი 5.3 % (679 704.3 $), უკრაინა 5.1 % (659 536.6 $), აშშ 4.1 % (521 882.3 $), გერმანია 3.9 % (497 387.4 $), ბულგარეთი 3.2 % (408 226.6 $), რუმინეთი 3 % (390 165.3 $).



2019 yılında Gürcistan'ın Avrupa Birliği ülkeleri ile yapılan dış ticaret cirosu 3 147.2 milyon ABD dolarına ulaşmıştır. Bu rakam, bir önceki yılın verilerine kıyasla %2.8 ile azdır. İhracat 825.7 milyon ABD dolara ulaşarak (artış oranı %13.0), ülkenin toplam ihracatının %21.9 -i oluşturmuş. İthalat ise 2 321.5 milyon ABD dolar ile (düşüş oranı %7.4) ülkenin toplam ithalatının %25.6-i oluşturmuş.

სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 3 147.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 2.8 %ით ნაკლებია. ევროკავშირის ქვეყნებში 825.7 მლნ. აშშ დოლარის ექსპორტი განხორციელდა, რაც 13.0 %-ით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 21.9 % შეადგენს. იმპორტის მოცულობამ 2 321.5 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია (7.4 %-ით ნაკლები) და მთლიანი იმპორტის 25.6 % შეადგინა.

Gürcistan'ın BDT ülkeleri ile yapılan dış ticaret cirosu 4 441.6 milyon ABD dolarına ulaşmış. Bu rakam bir önceki yılın verilerine kıyasla %1.8 ile daha fazladır. İhracat 1 794.9 milyon ABD doları ile (artış oranı %21.0) ülkenin toplam ihracatının %53.1-i oluşturdu. İthalat ise 2 173.3 milyon ABD doları ile (düşüş oranı %11.3) ülkenin toplam ithalatının %26.8-i oluşturmuştur.

სავაჭრო ბრუნვამ დსთ-ის ქვეყნებთან 4 441.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 1.8 %-ით მეტია. დსთ-ის ქვეყნებში ექსპორტირებულია 2 003.1 მლნ. აშშ დოლარის საქონელი, რაც 20.0 %-ით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 53.1 % შეადგენს. იმპორტის მოცულობა 2 438.6 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა (9.5 %-ით ნაკლები), რაც მთლიანი იმპორტის 26.9 %-ია.

2019 yılında Gürcistan'dan en çok ihraç edilen 10 ürün listesi aşağıdaki gibidir.
2019 წლის განმავლობაში საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო პროდუქტის ათეული კი ასე გამოიყურება.

ÜRÜN	HACMİ - $	BÜYÜME / DÜŞME
Arabalar მსუბუქი ავტომობილები	686.7 mln/მლნ	68% büyüme/ზრდა
Bakır cevherleri ve konsantreleri სპილენძის მადნები და კონცენტრატები	651.6 mln/მლნ	29.2 % büyüme/ზრდა
Ferro alaşımları ფერო შენადნობები	302.9 mln/მლნ	14 % düşme/კლება
Üzüm şarapları ყურძნის ღვინოები	222.9 mln/მლნ	13.2 % büyüme/ზრდა
Paketlenmiş ilaçlar დაფასოებული სამკურნალო საშუალებები	172.4 mln/მლნ	147.2 % büyüme/ზრდა
Mineral ve tatlı su მინერალური და მტკნარი წყლები	133.6 mln/მლნ	21.2 % büyüme/ზრდა
Alkollü içecekler სპირტიანი სასმელები	129.3 mln/მლნ	0.1 % büyüme/ზრდა
Azotlu gübreler აზოტოვანი სასუქები	94.8 mln/მლნ	3.1 % büyüme/ზრდა
Altın ოქრო	72.8 mln/მლნ	4.3 % büyüme/ზრდა
თხილი და სხვა კაკალი Fındık ve kuruyemişler	66.7 mln/მლნ	4.3 % büyüme/ზრდა

Davos Dünya Ekonomik Forumu
დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

Gürcistan Başbakanı Sn. Giorgi Gakharia Davos Dünya Ekonomik Forumuna katılıyor. Forumun resmi açılış töreninde Dünya Ekonomik Forumu'nun kurucusu Profesör Claus Schwab, İsviçre Konfederasyonu Başkanı Simoneta Somaruga ve ABD Cumhurbaşkanı Donald Trump, konuşma yaptılar. Birçok liderin katıldığı Ekonomik Forumu'nun esas konusu iklim değişikliğidir.

Foruma katılan ve Başbakan tarafından yönetilen Gürcistan heyeti Finans Bakanı Sn. İvane Machavariani ve Uluslararası İlişkilerde Başbakanın Danışmanı Sn. İrakli Chikovani'den oluşuyor.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში მონაწილეობს. ფორუმის გახსნის ოფიციალურ ცერემონიაზე სიტყვით გამოვიდნენ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დამფუძნებელი, პროფესორი კლაუს შვაბი, შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტი სიმონეტა სომარუგა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დონალდ ტრამპი. დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ერთ-ერთი მთავარი თემა წელს კლიმატური ცვლილებებია და მასში არაერთი ლიდერი მონაწილეობს.

საქართველოს დელეგაციას, რომელიც ფინანსთა მინისტრ ივანე მაჭავარიანის, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხებში ირაკლი ჩიქოვანისგან შედგება, პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს. ბიზნეს ფორუმის ფარგლებში გაიმართა და იგეგმება მაღალი დონის როგორც პოლიტიკური ისე ბიზნეს და ეკონომიკური ხასიათის შეხვედრები.

Forum çerçevesinde Bulgaristan Başbakanı Sn. Boyko Borisov ile toplantı gerçekleştirildi. Görüşme sırasında nakliye sektörü, özellikle denizcilik ve iletişim alanında işbirliğinin geliştirme yolları incelenmiştir.

მიმდინარე პერიოდში უკვე შედგა შეხვედრა ბულგარეთის პრემიერ-მინისტრ ბოიკო ბორისოვთან, სადაც განხილულ იქნა ტრანსპორტის, განსაკუთრებით კი საზღვაო და კომუნიკაციების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების გზები.

Toplantı Litvanya Cumhuriyeti Cumhurbaşkanı Gitanas Nausėda ile de yapıldı. Taraflar, esas olarak Doğu Ortaklığının vizyonları ve Brüksel'de yapılacak olan Doğu Ortaklık Zirve hakkında görüştüler.

შეხვედრა ასევე გაიმართა ლიეტუვას რესპუბლიკის პრეზიდენტ გიტანას ნაუსედასთან. მხარეებმა ძირითადად ისაუბრეს აღმოსავლეთ პარტნიორობის სამომავალო ხედვებთან და ბრიუსელში გასამართ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტთან დაკავშირებით.

AK YIL ZEMIN Ank Catering ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Ziraat Bankası

Giorgi Gakharia aynı zamanda Estonyalı meslektaşı Jüri Ratas'la görüştü. Toplantı sırasında iki ülke arasındaki dost ilişkileri ve Avrupa-Atlantik güvenliğine Gürcistan'ın önemli katkısı elle alınmıştır.

გიორგი გახარია ასევე შეხვდა ესტონელ კოლეგა, იური რატასს. შეხვედრის თემატიკა მოიცავდა ქვეყნებს შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობებს და საქართველოს მნიშვნელოვან წვლილს საერთო ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაში. შეხვედრის დასასრულს, გიორგი გახარიამ იური რატასი საქართველოში მიიწვია.

Başbakan Giorgi Gakharia aynı zamanda Ermenistan Cumhuriyeti Cumhurbaşkanı Armen Sarkisyan ile beraber bir araya geldi. Taraflar, Gürcistan Başbakanın Ermenistan ziyareti sırasında alınan kararların ilerleme durumunu dile getirdiler ve iki ülke arasındaki işbirliğin sürdürmesine hazır olduklarını ifade ettiler.

პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიამ ასევე გამართა შეხვედრა სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ არმენ სარქისიანთან. შეხვედრაზე განიხილეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის სომხეთში ვიზიტის პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებების მიმდინარეობა და გამოთქვეს მზაობა, მომავალშიც განაგრძონ ურთიერთ სასარგებლო თანამშრომლობა.

Gürcistan Başbakanı Davos Dünya Ekonomik Forum çerçevesinde gerçekleştirilen "Yeni Vizyon Avrupa ve Asya için - Sürdürülebilir Kalkınma amaçlı Ortaklık" tartışmasına katıldı. Toplantıya katılanlar arasında Azerbaycan Cumhuriyeti Cumhurbaşkanı İlham Aliyev, Avrupa İmar ve Kalkınma Bankası (EBRD) Başkanı Suma Chakrabarti, Moğolistan Cumhurbaşkanı Khalatmagin Batulga, Türkiye Dışişleri Bakanı Mevlut Çavuşoğlu ve diğerler.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო დისკუსიაში - "ახალი ხედვა ევროპისა და აზიისთვის - პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის". შეხვედრის მონაწილეებს შორის იყვნენ აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის

პრეზიდენტი (EBRD) სუმა ჩაკრაბარტი, მონღოლეთის პრეზიდენტი ხალტმააგინ ბატულგა, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მევლუთ ჩავუშოღლუ და სხვები.

Belirtilen görüşmelerin yanı sıra Gürcistan Başbakanı Giorgi Gakharia Davos Dünya Ekonomik Forumu çerçevesinde Azerbaycan Cumhurbaşkanı İlham Aliyev, Letonya Cumhuriyeti Cumhurbaşkanı Eagles Levit, Hırvat meslektaşı Andrei Plenkoviç, Sloven meslektaşı Marian Sharetz, Coca-Cola Başkan Yardımcısı Michael Golzman, İngiliz şirket OneWeb CEO'su Adrian Steckel, Siemens Enerji CEO'su ve Siemens AG yönetim kurulu üyesi Michael Sen, enerji firması ENEL'in müdürü Francesco Strach ve ACCIONA şirketin CEO'su Rafael Matteom ile görüştü.

Forum çerçevesinde Gürcistan Başbakanı Giorgi Gakharia, Finlandiya Başbakanı, Avrupa Komisyonu Başkan Yardımcısı, Volvo Group Yönetim Kurulu Başkanı ve iş liderleri ile birlikte – "Avrupa için Yeni Hırslar" isimli konferansa katıldı.

დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში გამართულ სხვა ოფიციალურ შეხვედრებს შორის აღსანიშნავია პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას შეხვედრა აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან, ლატვიის პრეზიდენტ ეგილს ლევიტთან, ხორვატ კოლეგა ანდრეი პლენკოვიჩთან, სლოვენიელ კოლეგა მარიან შარეცთან, "კოკა-კოლას" ვიცე-პრეზიდენტ მაიკლ გოლცმენთან, ბრიტანულ კომპანია OneWeb-ის აღმასრულებელ დირექტორ ადრიან სტეკელთან, Siemens Energy-ის აღმასრულებელ დირექტორსა და Siemens AG-ის მმართველი ბორდის წევრ მაიკლ სენისთან, ენერგეტიკული კომპანია ENEL-ის აღმასრულებელ დირექტორ ფრანჩესკო სტარაჩთან, კომპანია ACCIONA-ს აღმასრულებელ დირექტორ რაფაელ მატეომთან.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ფორუმის ფარგლებში ფინეთის პრემიერ-მინისტრ, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტ და ბიზნეს ლიდერებთან, მათ შორის "ვოლვო ჯგუფის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარესთან ერთად მიიღო მონაწილეობა თემატურ დისკუსიაში, სახელწოდებით - New Ambitions for Europe.

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი (24.01.2020)

USD/GEL –2.8867 TRY/GEL – 0.4874 EUR/GEL –3.2005 GBP/GEL – 3.7899

USD/GEL

17 – 24 Ocak 2020

USD/TRY

17 – 24 Ocak 2020

TRY/GEL

17 – 24 Ocak 2020

Uluslararası Reyting საერთაშორისო რეიტინგი	
İş Yapma Kolaylığı ბიზნესის კეთების სიმარტივე	№ 6
İş Başlama Kolaylığı ბიზნესის დაწყების სიმარტივე	№ 2
Kredi Alma Kolaylığı სესხის აღების სიმარტივე	№ 12
Küçük Yatırımcıların Koruması მცირე ინვესტორთა დაცულობა	№ 2
İnşaat İzinleri İle Mücadele სამშენებლო ნებართვის სიმარტივე	№ 27
Ekonomik Özgürlük Endeksi ეკონომიკური თავისუფლების ინდ.	№ 16
Rekabet Edebilirlik Endeksi კონკურენტუნარიანობის ინდექსი	№ 74